

ელენე ჩხარტიშვილი

16 წლის

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ფოთის N5 საჯარო სკოლა

მე-11 კლასი

## წერილი ევროპულ თანატოლს - დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე

გამარჯობა! მოხარული ვარ, რომ ამ წერილს, რომელშიც ჩემი ფიქრები და შეხედულებები გადმოვცე, შენ, ევროპელი ახალგაზრდა, კითხულობ. საქართველოს შესახებ ბევრ ქვეყანაში არც კი სმენიათ, მე კი მსურს, მთელმა მსოფლიომ იცოდეს ჩემი სამშობლოს ისტორია, კულტურა, ტრადიციები. 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა. ქართველმა პატრიოტებმა დაბრკოლებებით სავსე გზა გაიარეს, რათა ეს დღე დამდგარიყო, ჩვენ კი კარგად ვიცით ამ მოვლენის მნიშვნელობა და ყოველ წელს დიდი სიხარულით აღვნიშნავთ ამ განსაკუთრებულ დღეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

მე დამოუკიდებელ საქართველოში დავიბადე, რაც იმას ნიშნავს, რომ არ შევსწრებივარ ომის სისხლიან სცენებს, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში არ დამიკარგავს ახლობელი ადამიანი და ბედნიერი ვარ, ეს პრივილეგია რომ მერგო.

მიუხედავად ამისა, მაინც არაერთხელ მიფიქრია იმ გზაზე, რომელიც ჩემმა სამშობლომ და მისმა ღირსეულმა შვილებმა გაიარეს, რათა მომავალი თაობებისთვის ნათელი მომავალი უზრუნველყოთ, გამიკრიტიკებია ის მმართველები, რომლებიც მშვიდობის სანაცვლოდ თავისუფლებას თმობდნენ, სიამაყე მიგრძენია, როცა სკოლაში გაკვეთილებზე ქართველთა თავდადებისა და სიმამაცის შესახებ გვიამბობდა მასწავლებელი. დღესდღეობით საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ითვლება, თუმცა მაინც არსებობს გარე ძალების შემოჭრის საფრთხე, რადგან ჩვენს პატარა ქვეყანას მეტად ხელსაყრელი ტერიტორია უჭირავს და წარსულში სწორედ ამ მიზეზით გვიხდებოდა მტრის მოგერიება.

არაერთი გიგანტური ცივილიზაცია განადგურებულა გარე ძალებთან შეჭიდებისას, მაგალითად , ბიზანტიის იმპერია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში აკონტროლებდა სხვა ერებს, ბოლოს კი ოსმალებთან ბრძოლისას დაეცა. საქართველო კი, მიუხედავად მოსახლეობისა და ტერიტორიის სიმცირისა, მუდამ ახერხებდა მყარად დგომასა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნებას.

ის დამოუკიდებლობა, რომელიც დღეს გვაქვს , 1991 წელს მოვიპოვეთ. მინდა აღვნიშნო, რომ , თუ ქვეყანაში ამას მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს, მაშინ ხალხი ვერ იქნება ბედნიერი. აუცილებელია , საზოგადოებას ჰქონდეს თავისუფალი აზროვნების, ფიქრის, აზრის გამოხატვის საშუალება. სწორედ ამისთვის იბრძოდნენ წარსულში პატრიოტიზმით გულადტყინებული ქართველები, განსაკუთრებით კი-ხელოვანები, მწერლები. დღეს მე არ მემშინია, რომ ჩემი აზრი სოციალური ქსელებისა თუ სხვა საშუალებების გამოყენებით თავისუფლად გამოვხატო, წარსულში კი ამისთვის დახვრეტას მომისჯიდნენ. ვფიქრობ, ჩემი ვალია, დავაფასო ის მსხვერპლი, რომელიც წინა თაობებმა ჩვენთვის გაიღეს, რათა დამოუკიდებელ სახელმწიფოში მეცხოვრა.

უფროსი თაობა ხშირად მიაბნობს იმ შავ-ბნელ პერიოდზე, რომელიც „ოთხმოცდაათიანების” სახელითაა ცნობილი. ამ დროს უკვე მოპოვებული გვექონდა დამოუკიდებლობა, თუმცა იყო თუ არა ხალხი მართლა თავისუფალი, ეს სადავოა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მივიღეთ დამოუკიდებელი, თუმცა არასტაბილური, განათლებისა და მშვიდობის გარეშე დარჩენილი საქართველო, სადაც ხშირი იყო ომები, შიდა დაპირისპირებები და სხვ. ხალხი შიშით ცხოვრობდა, ოჯახთა უმეტესობას არ ჰქონდა საკმარისი შემოსავალი, რათა სრულფასოვნად ეცხოვრა, ისეთი მნიშვნელოვანი რესურსები, როგორებიცაა: გაზი, შუქი, წყალი მოსახლეობას იშვიათად მიეწოდებოდა, თუმცა ქართველებს ჰქონდათ იმედი, რომ ამ ყველაფერს მალე მოეღებოდა ბოლო.

დღევანდელ რეალობაში, საბედნიეროდ, არავინ მიზღუდავს თავისუფალი ფიქრის საშუალებას, მაგრამ ამ მხრივ მაინც არსებობს არაერთი გამოწვევა. მაგალითად, დღესაც არსებობს სტერეოტიპები, რომლებსაც ყოველდღე ვებრძვი და რის გამოც შესაძლოა, სხვისთვის ჩემი მოსაზრება მიუღებელი აღმოჩნდეს, თუმცა აზრის გამოთქმისათვის არავინ გამკიცხავს. დღეს მე მაქვს შესაძლებლობა, რომ კომუნიკაცია მქონდეს ჩემს თანატოლებთან როგორც საქართველოში, ისე -მის გარეთ, მაგალითად ევროპის რომელიმე სახელმწიფოს მოქალაქესთან. ჩემი თაობა მამლევს იმედს, რომ სამყარო მომავალში ,გარდა ტექნოლოგიური სფეროსა, სხვა კუთხითაც განვითარდება, რადგან ჩემს თანატოლებს არ აშინებთ აზრის გამოხატვა, კამათი. ამას ემატება ის უდიდესი გამოცდილება კაცობრიობისა, რომელიც გამაცნეს მასწავლებლებმა, სოციალურ პლატფორმებში გამოქვეყნებულმა სტატიებმა და ა.შ.

საქართველო დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან ცდილობს, რომ ევროპული ღირებულებები და სტანდარტები დაამკვიდროს, რათა დაცული იყოს ადამიანის უფლებები, უზრუნველყოფილი იყოს თანასწორობა, კანონის უზენაესობა, თანაბარი განვითარების

შესაძლებლობები. მიუხედავად მრავალი მცდელობისა, მაინც უამრავი გამოწვევის წინაშე ვდგავართ, როგორებიცაა: სიღარიბე, შიდა კონფლიქტები, სეპარატიზმი და სხვ., თუმცა მე მჯერა, რომ ქართველი ხალხის შემართებითა და მცდელობით ჩვენი ქვეყანა ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ევროპის სახელმწიფოებში და „დადგება ერთად სხვა ერთა შორის“.

პატივისცემით,

ე.ჩხარტიშვილი.

A Letter to a European Peer - From Independence to

Freedom

Hello! I am glad that you, a young European, are reading this letter, in which I have expressed my thoughts and views. Many countries have not even heard of Georgia, and I want the whole world to know the history, culture, and traditions of my homeland. May 26 is Georgia's Independence Day. Georgian patriots have gone through a path full of Barriers to make this day happen, and we are well aware of the significance of this event and every year we celebrate this special day in the history of our country with great joy.

I was born in independent Georgia, which means that I did not witness the bloody scenes of war, I did not lose a loved one in the battle for the restoration of the country's independence, and I am happy that I had this privilege. Nevertheless, I have often thought about the path that my homeland and its worthy children have taken to ensure a bright future for future generations, I have criticized those rulers who gave up freedom in exchange for peace, I felt pride when the teacher told us about the dedication and courage of Georgians in school lessons. Nowadays, Georgia is considered an independent state, however, there is still a threat of invasion by external forces, because our small country occupies a very favorable territory and in the past it was precisely for this reason that we had to repel the enemy.

Many great civilizations have been destroyed by external forces, such as the Byzantine Empire, which controlled other nations for centuries before finally falling to the Ottomans. Georgia, despite its small population and territory, has always managed to stand firm and maintain its

national identity.

The independence that we have today was gained in 1991. If independence is only formal, then people will not be happy. It is necessary for society to have the opportunity to freely think, reflect, and express their opinions. This is exactly what Georgians, especially artists and writers, who were inspired by patriotism, fought for in the past. Today, I am not afraid to freely express my opinion using social networks or other means, whereas in the past I would have been

sentenced to death for it. I think it is my duty to appreciate the sacrifices that previous generations made for us so that I could live in an independent country.

The older generation often talks about the dark period known as the “otkhmotsdaatianebi”(nineties). At that time, we had already gained independence, although whether the people were truly free is debatable. After the collapse of the Soviet Union, we got an independent, but unstable, Georgia without education and peace, where wars, internal conflicts, etc. were frequent. People lived in fear, most families did not have enough income to live a full life, such important resources as gas, electricity, and water were rarely provided to the population, although Georgians had hope that all this would soon end.

In today’s reality, fortunately, no one restricts my ability to think freely, but there are still many challenges in this regard. For example, there are still stereotypes that I struggle with every day, which may make my opinion unacceptable to others, although no one will reprimand me for expressing my opinion. Today, I have the opportunity to communicate with my peers both in Georgia and abroad, for example, with citizens of any European country. My generation gives me hope that the world will develop in other areas in the future, besides the technological sphere, because my peers are not afraid to express their opinions and argue.

Since the declaration of independence, Georgia has been trying to establish European values and standards in order to protect human rights, ensure equality, the rule of law, and equal development opportunities. Despite many efforts, we still face many challenges, such as

poverty, internal conflicts, separatism, etc. However, I believe that with the determination and efforts of the Georgian people, our country will take a worthy place among European countries and will take a worthy place among worthy nations.